პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

დ. ჩოხატაური

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების განკარგვის, გადაცემის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების განკარგვის, გადაცემის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №31 დადგენილებაში (სსმ, 27.06.2012) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1.

დადგენილებით დამტკიცებული დანართი 2–ის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ქონების საკუთრებაში განკარგვა ან სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.“

მუხლი 2

დადგენილებით დამტკიცებული დანართი 2–ის მე-3 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ქონების საკუთრებაში განკარგვა ან სარგებლობის უფლებით გადაცემა დასაშვებია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.“

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.